საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2012 წლის 27 სექტემბრის
დადგენილება №773

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჯიხაიშში მდებარე 118609 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების სტუ-ს საკუთრებაში გადმოცემისა და მის ბაზაზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში, დიდი ჯიხაიშის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის შექმნის, მისი დებულების დამტკიცებისა და დირექტორის დანიშვნის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 10 სექტემბრის №10/0916 განკარგულების შესრულების მიზნით, სტუ-ს საკუთრებაში, მის ბალანსზე აყვანილ იქნეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 118609 კვ.მ. არასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, სტუ-ს აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის შექმნის მიზნით.
2. ეთხოვოს სენატს კოლეჯის დებულების დამტკიცება.
3. კოლეჯის დირექტორად დაინიშნოს ბ-ნ ნუგზარ მიქაძე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

სხდომის მდივანი თ. ლომინაძე